განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობა (მისამართი: დაბა ხულო. აბუსერისძე ტბელის ქ#1) აცხადებს კონკურსს სამუშაოების დეფექტური აქტებისა და საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესყიდვის მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

1. შესყიდვის ობიექტია დაბა ხულოს სტადიონის რეკონსტრუქცია-რემონტის და ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ სხალთაში სასოფლო ცენტრიდან ეკლესიამდე გარე განათების მოწყობის სამუშაოებზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება ტექნიკური დავალების შესაბამისად.
2. დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:

2.1. დეფექტურ აქტებს, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს საპროექტო ორგანიზაციის და შემსყიდველის წარმომადგენლის მიერ;
2.2. განმარტებითი ბარათი;
2.3. სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო (მუშა ნახაზები) დოკუმენტაცია.

3. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 2500 ლარს
4. დაფინასების წყარო–ხულოს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი
5. ზეპირი ვაჭრობა გაიმართება კონკურსის ჩატარების დღეს 26 აპრილს
6. **კონკურსში მონაწილეობის საფასური**

6.1.საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს კანონის 19[1] მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით. საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე **(www.procurement.gov.ge).**
6.2. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

ამ მუხლის 6.2 მონაცემების დარღვევით გაცემული დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში პრეტენდენტი იქნება დისკვალიფიცირებული

საკონკურსო წინადადება, რომელსიც არ შიცავს საფასურის გადახდის ქვითარს არ განიხილება.

7. კონკურსი ჩატარდება 2011 წლის 26 აპრილს 14 სთ–ზე. ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის პირველ სართულზე ოთახი 13.

8. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ და კონკურსში მონაწილეობის საფასური დალუქვის გარეშე, ასევე დალუქული კონვერტით უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადება, რომელიც უნდა მოიცავდეს დაბა ხულოს სტადიონის რეკონსტრუქცია-რემონტის და ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ სხალთაში სასოფლო ცენტრიდან ეკლესიამდე გარე განათების მოწყობის სამუშაოების დეფექტური აქტებისა და საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ღირებულებას, ინფორმაციას კონკურსანტის ანალოგიური საპროექტო-სახარჯღაღიცხვო დოკუმენტაციის შედგენის გამოცდილების შესახებ (ხელშეკრულებები, მიღება- ჩაბარების აქტები), პრეტენდენტი პირის სრული რეკვიზიტები ასევე საკვალიფიკაციო მონაცემებს.

8.1 საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციას:

8.1.1 იურიდიულმა პირმა და ინდ. მეწარმეებმა:

ა) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

ბ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ.

8.1.2 მეწარმე ფიზიკურმა პირმა:

ა) ცნობა უფლებამოსილი ორგანოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე, ერთ ეგზემპლარად, დალუქული კონვერტით 2011 წლის 26 აპრილს 14:00 საათმდე, შემდეგ მისამართზე: დაბა ხულო. აბუსერისძე ტბელის ქ#1. ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობის პირველ სართულზე ოთახი 13.

შენიშვნა:

1) კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული, ხელმოუწერელი და ბეჭედ დაუსმელი დოკუმენტაცია არ განიხილება და უკან დაუბრუნდება კონკურსანტს.

2) პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

9. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა განისაზღვრება საკონკურსო წინადადების წარმოდგენის დღიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

10. საკვალიფიკაციო ცნობები და მონაცემები შესაბამისი უწყებიდან მიღებული უნდა იქნეს მხოლოდ საკურსო განცხადების გამოცხადების და მისი მიღების დასრულების ვადისა და პერიოდის გათვალისწინებით;

11. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია (მათ შორის საკონკუსრო წინადების წარმოდგენისათვის საფასურის ქვითრის გარეშე) გატარდება რეგისტრაციაში, მაგრამ არ განიხილება და გაუხსნელად დაუბრუნდება კონკურსანტს;

12. საკონკურსო წინადადება ხელმოწერილი უნდა იქნეს კონკურსანტის მიერ, ხელმოუწერელი წინადადებები არ განიხილება;

13. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებიდან, ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის თანხლებით.

14. კონკურსი ტარდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვალის ბრძანება №3 „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ საფუძველზე.

15. კონკურსში გამარჯვებულმა პირმა სრულყოფილი პროექტი უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

16. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში) უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურებაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. წინასწარი ანგარიშსწორების განხორციელება არ განიხილება.

17. პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა მოთხოვნებს.

18. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

ა) გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობა პროექტის განხორციელების პროცესში (საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა, საჭიროებისამებრ საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება, პროექტისა და შესრულებული სამუშაოების იდენტურობის დადასტურება)

ბ) საავტორო ზედამხედველობის განხორციელების ვადა – სამუშაოების მიმდინარეობის მთელი პერიოდი.

19. კონკურსში გამარჯვებულ ორგანიზაციასთან, გამარჯვებულის გამოვლენიდან არაუგვიანეს სამი სამუშაო დღის ვადაში გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

20. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადაა საკონკურსო წინადადების წარდგენის დღიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე.

21. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან – ელდარ ბოლქვაძე, საკონკურსო კომისიის წევრი; 877-20-16-22. მისამართი: დაბა ხულო. აბუსერისძე ტბელის ქ#1. ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობა. 1 სართული ოთახი #13

საკონკურსო კომისია.

ტექნიკური დავალება

I. დაბა ხულოს სტადიონის რეკონსტრუქცია-რემონტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე

დოკუმენტაციის შემადგენლობა:

1. საპროექტო დოკუმენტაცია:

   საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნას „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით გათვალისწინებული შესაბამის კლასს განკუთვნილი ობიექტებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებისა და სამშენებლო დოკუმენტის პროექტის შემადგენლობით, რომელიც თავის მხრივ მოიცავს:

   – განმარტებით ბარათს პროექტზე;
   – არქიტექტურულ ნაწილს;
   – კონსტრუქციულ ნაწილს;
   – სან. ტექნიკურ ნაწილს;
   – ელ. ტექნიკურ ნაწილს.

2. ხარჯთაღრიცხვა:

–ხარჯთაღრიცხვა უნდა მოიცავდეს პროექტის საფინანსო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას და მასში გათვალისწინებული უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი;

–ხარჯთაღრიცხვა დამუშავდეს ლოკალურ-რესურსული მეთოდით და სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსაზღვრა მოხდეს 2011 წლის I კვარტლის დონეზე ფიქსირებული სამშენებლო რესურსების ფასებში სახარჯთაღრიცხვო ნორმების საფუძველზე, ამასთან:

ა) ტრანსპორტირების ხარჯები განისაზღვროს ძირითადი სამშენებლო მასალების ზიდვის მანძილის მიხედვით;

ბ) გათვალისწინებულ იქნეს ტექნიკური ზედამხედველობის ხარჯები;

გ) ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებულ იქნეს სკამების მონტაჟის სამუშაოები ღირებულების გარეშე

3. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტს სამუშაოთა წარმოების კალენდარული

გრაფიკით და მშენებლობის განხორციელების ეტაპებით.

II. ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ სხალთაში სასოფლო ცენტრიდან ეკლესიამდე გარე განათების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე

დოკუმენტაციის შემადგენლობა:

1. საპროექტო დოკუმენტაცია:

პროექტი წარმოდგენილ უნდა იქნას „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით გათვალისწინებული შესაბამის კლასს განკუთვნილი ობიექტებისათვის საჭირო სამშენებლო დოკუმენტაციით, რომელიც თავის მხრივ მოიცავს:

– განმარტებით ბარათს პროექტზე;

– ხაზობრივი ნაგებობების ნახაზებს;

– ელ. ტექნიკურ ნაწილს.

2. ხარჯთაღრიცხვა:

–ხარჯთაღრიცხვა უნდა მოიცავდეს პროექტის საფინანსო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას და მასში გათვალისწინებული უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი;

–ხარჯთაღრიცხვა დამუშავდეს ლოკალურ-რესურსული მეთოდით და სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსაზღვრა მოხდეს 2011 წლის I კვარტლის დონეზე ფიქსირებული სამშენებლო რესურსების ფასებში სახარჯთაღრიცხვო ნორმების საფუძველზე, ამასთან:

ა) ტრანსპორტირების ხარჯები განისაზღვროს ძირითადი სამშენებლო მასალების ზიდვის მანძილის მიხედვით;

ბ) გათვალისწინებულ იქნეს ტექნიკური ზედამხედველობის ხარჯები.

3. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტს სამუშაოთა წარმოების კალენდარული

გრაფიკით და მშენებლობის განხორციელების ეტაპებით.

საპროექტო დავალება

I. დაბა ხულოს სტადიონის რეკონსტრუქცია-რემონტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე

№	*ჩამონათვალი*	*ძირითადი მოთხოვნები*
1	ობიექტის დასახელება	სტადიონი
2	ობიექტის ადგილმდებარეობა	დაბა ხულო წერეთლის ქუჩა
3	პროექტირების სტადიურობა	ერთსტადიანი
4	ძირითადი მოთხოვნები	სტადიონის რეკონსტრუქცია-რემონტი განხორციელდეს შემდეგი პირობებით 1. რეკონსტრუქციის შემდეგ სტადიონზე უნდა მოეწყოს: – შენობა გასახდელებით და საშხაპეებით; – რკინა ბეტონის იარუსები სკამებით (სტადიონის სამხრეთ ნაწილში მთელ სიგრძეზე); – ბეტონის იარუსები პლასტმასის სკამებით(სტადიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში); – რკ. ბეტონის სანიაღვრე (სადრენაჟე) არხები (კიუვეტი) ლითონის ცხაურებით; . 2. განისაზღვროს სარემონტო სამუშაოების მოცულობები და შედგეს სათანადო დეფექტური აქტი; 3. მოეწყოს შიგა და გარე წყალმომარაგების და კანალიზაციის ქსელები; 4. მოეწყოს შიგა და გარე ელექტრობის ქსელები; 5. საპროექტო დოკუმენტაცია დამუშავდეს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით გათვალისწინებული შესაბამის კლასს განკუთვნილი ობიექტებისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებისა და სამშენებლო დოკუმენტის პროექტის შემადგენლობით.

5	დამატებითი მოთხოვნები	–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში გათვალისწინებულ იქნეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი; –ძირითადი სამშენებლო მასალების ზიდვის მანძილად აღებულ იქნეს 86 კმ. –საპროექტო სამუშაოების ვადების გათვალისწინებით დროულად წარმოდგეს ინფორმაცია საჭირო ტექნიკური პირობების შემუშავებაზე
6	ეგზემპლარების რაოდენობა	–საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამუშავდეს 5 (ხუთი) ეგზემპლიარად. დაერთოს ელექტრონული ვერსია.
7	პროექტირების ვადები	ოცდაათი დღე

II. ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ სხალთაში სასოფლო ცენტრიდან ეკლესიამდე გარე განათების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაზე

№	*ჩამონათვალი*	*ძირითადი მოთხოვნები*
1	ობიექტის დასახელება	გარე განათება
2	ობიექტის ადგილმდებარეობა	ხულოს მუნიციპალიტეტი სოფელი სხალთა
3	პროექტირების სტადიურობა	ერთსტადიანი
4	ძირითადი მოთხოვნები	1. მოეწყოს სასოფლო ცენტრის გარე განათება ფოლადის საყრდენ ბოძებზე, მიწისქვეშა კაბელური გაყვანილობით; 2. გათვალისწინებულ იქნეს შუქის ავტომატური მარეგილირებელის (ფოტორელე) მონტაჟი; 3. ქსელში ჩართვა განხორციელდეს უახლოესი ს/ქვესადგურიდან 4. საპროექტო დოკუმენტაცია დამუშავდეს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით გათვალისწინებული შესაბამის კლასს განკუთვნილი ობიექტებისათვის საჭირო სამშენებლო დოკუმენტის პროექტის შემადგენლობით, გარდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებისა;
5	დამატებითი მოთხოვნები	–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში გათვალისწინებულ იქნეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი; –ძირითადი სამშენებლო მასალების ზიდვის მანძილად აღებულ იქნეს 90 კმ. –საპროექტო სამუშაოების ვადების გათვალისწინებით დროულად წარმოდგეს ინფორმაცია საჭირო ტექნიკური პირობების შემუშავებაზე
6	ეგზემპლარების რაოდენობა	–საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დამუშავდეს 5 (ხუთი) ეგზემპლიარად. დაერთოს ელექტრონული ვერსია.

7	პროექტირების ვადები	ოცდახუთი დღე

ზოგადი განსაზღვრებები

საპროექტო დოკუმენტაციიის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნას მშენებლობაში მიღწეული და დაგროვილი გამოცდილებები, ახალი ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების გამოყენება, ობიექტის ადგილმდებარეობისათვის დამახასიათებელი კლიმატური პირობები. ხარჯთაღრიცხვების შედგენისას საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულება უნდა განისაზღვროს დასაბუთებული კალკულაციებითა და ღირებულებებით.

მომზადებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებით, „საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და მოქმედების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 24 თებერვლის N45 დადგენილებით და „საქართველოს ტერიტორიაზე ტექნიკური ზედამხედველობისა და სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმების, წესების და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტების გამოყენების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 18 თებერვლის №1-1/251 ბრძანებით განსაზღვრულ პირობებთან.

შემსყიდველს უნდა წარედგინოს საპროექტო-სახარჯთაღიცხვო დოკუმენტაციის 5 სრული ეგზემპლარი და ელექტრონული ვერსია. ელექტრონული ვერსია უნდა მოიცავდეს სრულ პროექტს წარმოდგენილს კომპაქტდისკზე, ჩაწერილს Archi Cad ან corel drav x4 პროგრამის ციფრული (ელექტრონული) ვერსიის სახით და ხარჯთაღრიცხვას ჩაწერილს Microsoft Office Excel პროგრამის ციფრულ (ელექტრონული) ვერსიის სახით. ასევე სრულ პროექტს ჩაწერილს Adobe Acrobat პროგრამის PDF ფორმატში, ერთი ფაილის მოცულობა არაუმეტეს 8 მგბ-სა.

იმ შემთხვევაში, თუ პროექტანტის დაშვებული ხარვეზების გამო რეაბილიტაციის პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯების ანაზღაურებას პროექტანტი იღებს თავის თავზე.

ამ დავალებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ანგარიშები, გრაფიკული ან სხვა სახის მასალები ეკუთვნის შემსყიდველს და რჩება მის საკუთრებაში.

საჭირო შემთხვევებში შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეიტანოს ცვლილებები საპროექტო დავალებაში – გაზარდოს ან შეამციროს მომსახურების მოცულობა.

პროექტირების პროცესში საპროექტო დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაპროექტების საკითხი ზეპირი ან წერილობითი სახით თანხმდება შემსყიდველთან.

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №43

დ. ხულო ----------

ერთის მხრივ, ხულოს მუნიციპალლიტეტი (მის.: დაბა ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. №1) ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ნოდარ თავართქილაძის სახით, (შემდგომში – „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ ——————————————————————————————(შემდგომში - „მიმწოდებელი“), ვმოქმედებთ, რა

საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6. „მომსახურება“ წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი

2. ხელშეკრულების საგანი

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულებაა ———————————————— ლარი.
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
3.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების დასრულება ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან ——————————— დღის განვალობაში და მიაწოდოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შემსყიდველს 5 ეგზემპლარად და CD დისკით. დ. ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. №1
ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე. აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება.
გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. მომსახურების ხარისხი

5.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.
6.2. ინსპექტირებას განახორციელებს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი.
6.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) დღეში გამოასწოროს წუნი ან, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.
6.4. თუ ამ მუხლის 6.3. პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.
6.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით. ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით და ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.
7.2. მომსახურების მიღებას აწარმოებს ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საქმის წარმოებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფლების მთავარი სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში.

8. ანგარიშწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით;
ა) ანგარიშსწორების ვალუტა ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადახდო დოკუმენტის წარმოდგენიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში, თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება. ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
6.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.
6.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნით გაწეული მომსახურება, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) დღეში გამოასწოროს წუნი ან, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურების ღირებულება.
6.4. თუ ამ მუხლის 6.3. პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.
6.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რსურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით. ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07 % ოდენობით.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო წუნდებული მომსახურების ღირებულების 0.07 % ოდენობით.

10.3. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პიგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭრბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
10.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
12.1. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწობელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს

13 ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისის ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერრილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებულ თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სხვა პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი შემსყიდველს.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულო	_____
მის: დაბა ხულო ტბელ აბუსერიძის ქ. №1	_____
ს.ს. „ლიბერთი ბანკი“-ს ხულოს ფილიალი	_____
ს.კ 248056311 ბ/კ: LBRTGE22	_____
ანგ. №GE29LB0120133255904000	_____
ხულოს მუნიციპალიტეტის	_____
საკრებულოს თავმჯდომარე	_____
ნოდარ თავართქილაძე	
_____	_____
(ხელმოწერა)	(ხელმოწერა)

საკონკურსო წინადადება

თარიღი:_____

ვის: _____

(შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება)

ვისგან: _____

(პრეტენდენტის დასახელება და მისამართი)

შევისწავლეთ რა საკონკურსო განცხადება თანახმა ვართ საკონკურსო განცხადების შესაბამისად განვახორციელოთ _____

(შესყიდვის ობიექტის აღწერა)

მიწოდება და გთავაზობთ ზემოაღნიშნულის შესრულებას შემდეგ ფასად: ----------
(თანხა ციფრობრივად და სიტყვიერად)

ჩვენი საკონკურსო წინადადების გამარჯვების შემთხვევაში, ვიღებთ ვალდებულებას დავიწყოთ შესყიდვის ობიექტის მიწოდება _____ დღის განმავლობაში და დავასრულოთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (შემდგომ "ხელშეკრულება") ძალაში შესვლიდან _____ დღეში საკონკურსო განაცხადის მოთხოვნების შესაბამისად (აქ შეიძლება ჩაიწეროს შესყიდვის ობიექტის მიწოდების გრაფიკი ან დაწყება-დასრულების კონკრეტული თარიღი).

წინამდებარე საკონკურსო წინადადება ძალაშია _____ დღის განმავლობაში, დაწყებული შემდეგი თარიღიდან: _____.

ამით ვადასტურებთ, რომ გაცნობილნი ვართ "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონსა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვალის ბრძანებას №3 „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" და კონკურსის მსვლელობის დროს ვიმოქმედებთ დადგენილი ნორმების ფარგლებში.
სატენდერო წინადადებას თან ახლავს შემდეგი დანართები:

1_____

2_____

3_____

გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა /ფასების ცხრილი/

___ _____ _____ ___ _____ _____

(პრეტენდენტის დასახელება) (შევსების თარიღი)

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	ღირებულება	მომსახურების გაწევის ვადა
	დაბა ხულოს სტადიონის რეკონსტრუქცია-რემონტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება		
	ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ სხალთაში სასოფლო ცენტრიდან ეკლესიამდე გარე განათების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება		

აფიდავიტი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

მე, ქვემოთ ხელმომწერი,_____

(სახელი, გვარი, პ/ნ)

_____

(კონკურსანტის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი)

წარვუდგენ რა საკონკურსო წინადადებას

_____

_____

(შემსყიდველი ორგანიზაცია და *საკონკურსო კომისიის დასახელება)*

მის მიერ_____

_____

(კონკურსის გამოცხდების თარიღი და შესყიდვის ობიექტი)

შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

1. ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
2. უფლებამოსილი ვარ კონკურსანტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;
3. ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ.
4. ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი „კონკურენტი“ აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს კონკურსანტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში.
5. მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით კონკურსანტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

ა) საკონკურსო წინადადების ფასი;

ბ) საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;

გ) საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;

დ) ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული კონკურსის პირობებს.
ე) შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება.
6. საკონკურსო წინადადების პირობები კონკურსანტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.
გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

_____

(კონკურსანტის რეკვიზიტები)

_____

(კონკურსანტის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი და ხელმოწერა)

_____

(თარიღი)

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, კონკურსანტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195₁ მუხლის შესაბამისად.